ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ№2016-79/ბ

ქ. თბილისი „23“ „დეკემბერი“ 2016 წ.

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, სსიპ "სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო", შემდგომში „შემსყიდველი“, სააგენტოს უფროსის გია თვალავაძის სახით, და მეორე მხრივ, ფიზიკური პირი თეიმურაზ თამარაშვილი, სახით (შემდგომში„მიმწოდებელი“).

2.ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ "სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის" გამოყოფილი 2016 წლის ასიგნებების ფარგლებში, ტვირთის გადაზიდვის მომსახურების (CPV63110000) შესყიდვაზე დამიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სახის ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში დაგროვილი საარქივე მასალის გადატანის მომსახურების შესყიდვა.

4.მომსახურების გაწევის პირობები:

4.1.ვადები:

4.1.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების მე-13 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი სამ ეგზემპლარად.

6.ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე, გაფორმებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

7.მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად განახორციელოს ხარისხიანი და გარანტირებული მომსახურება „შემსყიდველის“ მოთხოვნების შესაბამისად;

7.1.2 დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.3. უზრუნველყოს, გაწეულ მომსახურებაზე ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

7.1.4. მომსახურების გაწევა უზრუნველყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმებისა და მოთხოვნების დაცვით.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან და ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.2. უზრუნველყოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადახდა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.მხარეთა უფლებები

8.1 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1 მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის და მოცულობის კონტროლი ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

9.ფორს-მაჟორი

9.1.ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი,, ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ.

10.2ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3 ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის გაუქმება არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

11.სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან/და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაანგარიშებით.

12.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოსხელშეკრულება.

12.4. თუ მხარე ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ცალმხრივად, აღნიშნულის შესახებ ხელშეკრულების [illegible]

12.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13.ინსპექტირებისპირობები

13.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო"–ს ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის რეგისტრაციის სამმართველოს უფროსი ნაილი შენგელიძე.

13.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

14.განსაკუთრებული პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

14.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (—6— გვერდზე) დ ათითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.4 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", მეორე "შემსყიდველთან".

15. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო"	ფიზიკური პირი თეიმურაზ თამარაშვილი კასპის რაიონი
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ №144,	პირადი ნომერი 24001020075
სახელმწიფო ხაზინა, ანგN200122900	საბანკო რეკვიზიტები სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი № LBRTGE22
საიდენტიფიკაციო კოდი 205035120	ანგ N GE30LB 0711 1692 7829 0000
_____	_____
გია თვალავაძე სააგენტოს უფროსი	თეიმურაზ თამარაშვილი ფიზიკური პირი

LB ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

სს "ლიბერთი ბანკი"
ი. ჭავჭავაძის გამზირი 74
თბილისი, 0162, საქართველო
ტელ: +995 (32) 255 55 00
ფაქსი: +995 (32) 255 55 04
www.libertybank.ge
info@libertybank.ge

ანგარიშის დეტალები

ლიბერთი ბანკის ანგარიში ბანკთან ანგარიშსწორებისა ანგარიშის ანგარიშსწორებისა

ანგარიშის მფლობელი (მიმღები):	ოლიბერაზ თამარაშვილი
ანგარიშის ნომერი:	GE30LB0711169278290000
ანგარიშის ვალუტა:	GEL / USD / EUR - მულტისავალუტო ანგარიში
მფო:	210101480
მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი:	სს "ლიბერთი ბანკი" ი. ჭავჭავაძის გამზირი 74 თბილისი, 0162, საქართველო
მიმღები ბანკის SWIFT კოდი:	LBRTGE22

შუამავალი ბანკები

[redacted] აშშ დოლარში გადარიცხვებისათვის (ვარიანტი 1):

Intermediary Bank Name & Address:	Deutsche Bank Trust Company Americas New York, USA
Intermediary Bank SWIFT Code:	BKTRUS33
Correspondent Account Number:	04422999

[redacted] აშშ დოლარში გადარიცხვებისათვის (ვარიანტი 2):

Intermediary Bank Name & Address:	Commerzbank AG Frankfurt, Germany
Intermediary Bank SWIFT Code:	COBADEFF
Correspondent Account Number:	400-8864068-00

[redacted] ევროში გადარიცხვებისათვის (ვარიანტი 1):

Intermediary Bank Name & Address:	Deutsche Bank AG Frankfurt, Germany
Intermediary Bank SWIFT Code:	DEUTDEFF
Correspondent Account Number:	100-9477233-0000

[redacted] ევროში გადარიცხვებისათვის (ვარიანტი 2):

Intermediary Bank Name & Address:	Commerzbank AG Frankfurt, Germany
Intermediary Bank SWIFT Code:	COBADEFF
Correspondent Account Number:	400-8864068-00

გთხოვთ ზუსტად მიუთითოთ ლიბერთი ბანკში თქვენი ანგარიშის ზუსტი ინფორმაცია ბანკიდან თანხის ჩარიცხვის დროს - ეს დაგვეხმარება დროულად და სწორედ მოგასალოთ თქვენი ოპერაციების დასრულება

ლიბერთი ბანკი LB
ოპერაციის ფორმა-ნომერი
№ 167
LBRTGE22
ოპერაციის ... 1

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის“ გამოყოფილი 2016 წლის ასიგნების ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის
მიღება ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი „_____“ „_____“ 2016 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, შემსყიდველი საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ **უფროსი გია თვალავაძე**

და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი: ფიზიკური პირი

_____
(ორგანიზაციის სახელი)

_____
(ხელმძღვანელის თანამდებობა: სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ

2016 წ „---------“ „----------“ № ---------- ხელშეკრულების პირობის შესაბამისად, გაწეულია მომსახურება
_____
(ხელშეკრულების თარიღი და ნომერი)

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს:

_____
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

გაწეული მომსახურების ღირებულებამ

შეადგინა:
მათ შორის ხელზე ასაღები თანხა შეადგენს ---------- ლარს.
_____
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია:
_____

ანაზღაურებულია:

_____
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება მიიღო:
1. ხელმძღვანელი

მომსახურება ჩააბარა:
1. ხელმძღვანელი